საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030119094527319

№ 01-279/მ **07 / ივნისი / 2019 წ.**

დავით კაიკაციშვილის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ქ. სანრემოში (იტალია) „ჰუმანიტარული სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის“ (The International Institute of Humanitarian Law) ორგანიზებითა და „გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის“ (UNHCR) მხარდაჭერით დაგეგმილ იძულებით გადაადგილებულთა სამართლის შესახებ (16 th Course on the law of internally displacement) მე-16 კურსზე (მიზანი: მონაწილეთათვის იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებისა და განხორციელების ხელშეწყობა, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების წახალისება, რათა მოხდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შექმნა ან არსებულის გაუმჯობესება) დასწრების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 9 ივნისიდან 2019 წლის 14 ივნისის ჩათვლით (ექვსი დღის ვადით) ქ. სანრემოში (იტალია) მივლინებულ იქნეს დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტის ეკომიგრანტთა საკითხების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **დავით კაიკაციშვილი.**
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს (სასტუმრო, მგზავრობა) აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.
3. დაევალოს შესაბამის დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აანაზღაუროს სადღეღამისო ხარჯების ნორმა.

საფუძველი: ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2019 წლის 6 ივნისის N01-5678 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო